კავშირი ენაბორძიკის სიმძიმეს, სუბიექტურ გამოცდილებასა და ცხოვრების ხარისხს შორის

ზანდა ჩეჩელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2023

სარჩევი

აბსტრაქტი	3
Abstract	4
შესავალი	5
თავი 1. ენის ბორძიკი - მეტყველების მოქნილობის დარღვევა	9
თავი 2. ცხოვრების ხარისხი (QOL)	13
თავი 3. ენაბორძიკის გავლენა ცხოვრების ხარისხზე – კვლევების მიმოხილვა	17
კვლევის მეთოდი	23
კვლევის ინსტრუმენტები	23
კვლევის მონაწილეები	27
კვლევის პროცედურა	28
კვლევის შედეგები	30
შედეგების ანალიზი	40
დისკუსია	43
დასკვნა	46
კვლევის ღრებულება და შეზღუდვები	47

აბსტრაქტი

ენის ბორძიკი მეტყველების მოქნილობის დარღვევაა, რომელიც ხასიათდება ბგერების, მარცვლების ან ერთ-მარცვლიანი სიტყვების გამეორებებით, ბგერების გახანგრძლივებით, მეტყველებაში ხმის ან ჰაერის ნაკადის ბლოკირებების წარმოქმნით. მას ხშირად თან ახლავს მეორეული ქცევებით, რომელსაც როგორც წესი პირი მოუქნელი ეპიზოდის შესამცირებლად იყენებს, მაგ., ყბის, ტუჩების, სხეულის დაჭიმვა, თვალების ხამხამი და მსგავსი. ენაბორძიკი გაცილებით მეტია, ვიდრე დაკვირვებადი ნიშნები, ინდივიდის დამოკიდებულებები ენაბორძიკთან დაკავშირებით მოიცავს ნეგატიურ აფექტურ, ქცევით და კოგნიტურ რეაქციებს, როგორც საკუთარი თავის ისე გარემოს მიმართ. აღნიშნული ლიმიტირებულს ხდის ენაბორძიკის მქონე ადამიანის სრულფასოვან ჩართულობას ყოველდღიურ აქტივობებში და უარყოფითად აისახება არა მხოლოდ ცალკეული ცხოვრებისეული მომენტების, არამედ მთლიანად ცხოვრების ხარისხზე. წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს, ერთი მხრივ, ენაბორძიკის ინტენსივობის შეფასება მოსაუბრის სუბიექტური პერსპექტივით, მეორე მხრივ კი ენაბორძიკის გავლენის შესწავლა ცხოვრების ხარისხზე. კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე მონაწილეები არიან 12 და 13 წლის ასაკის გოგონები ენის ბორძიკით და მათი მშობლები.

კვლევაში ჩართული მოზარდების სიმცირის გამო, ზემოაღნიშნული მიმართებების დასადგენად გამოვიყენეთ შემთხვევის ანალიზი. მიღებული შედეგების მიხედვით, რაც უფრო ინტენსიურია ენაბორძიკის გამოვლინება, მით უფრო მძიმეა მისი სუბიექტური აღქმა როგორც მოზარდის, ისე მშობლის მხრიდან. სირთულეები გამოხატულია არა ზოგადად ცხოვრების ხარისხის, არამედ მის ცალკეულ ასპექტებში. განსაკუთრებით კომუნიკაციისა და სხვადასხვა სოციალურ სიტუაციებში ჩართულობის თვალსაზრისით და ენის ბორძიკის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებებშიც. კვლევაში მონაწილეობის სურვილის ნაკლებობა მოზარდების მხრიდან, განამტიკცებს შეზღუდვების არსებობასა და სტიგმის სიმძიმეს საზოგადოებაში.

საკვანძო სიტყვები: ცხოვრების ხარისხი, ფუნქციური კომუნიკაცია, ენაბორძიკი.

Abstract

Key words: quality of life, functional communication, stuttering.

Stuttering is a speech fluency disorder, characterised by repetitions of sounds, syllables or monosyllabic words, sounds prolongation and sound or airflow blockings. It is also accompanied by secondary behaviors that the person usually uses to reduce or avoid the inflexible episode, such as tightening of the jaw, lips, body, blinking of the eyes. Stuttering is much more than observable signs, an individual's attitudes toward stuttering include negative affective, behavioral, and cognitive reactions to both the self and the environment. This limits his full participation in daily activities and negatively affects not only individual life moments, but also the quality of life as a whole. The aim of the present study is, on the one hand, to evaluate the intensity of stuttering from the subjective perspective of the speaker, and on the other hand, to study the impact of stuttering on the quality of life. Based on the specificity of the study, the participants are 12- and 13-year-old female adolescents with stuttering and their parents.

Due to the small number of adolescents involved in the study, we used case study to determine the above discussed relationships. According to the obtained results, the more intense the manifestation of stuttering, the more severe is its subjective perception from both the adolescent's and the parent's side. Difficulties are expressed not in the quality of life in general, but in its individual aspects. Especially in terms of communication and involvement in various social situations, and also in negative attitudes towards language. The lack of willingness to participate in research on the part of adolescents exacerbates the existence of restrictions and the severity of stigma in society.